MES 3 22 0000308896

25/03/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11.03.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:08 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:35 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ერეკლე ასტახიშვილი - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. ანზორ ბერიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
7. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
8. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. ლევან მოსახლიშვილი - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
10. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
11. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

12. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
13. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
14. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლაშა მარგიშვილი**	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
2	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	**ქეთევან თელია**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**ნინო სარჯველაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	**თამარ ტაბატაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
8	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულებისდ ასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II, IV, V, VI
2	ხათუნა მხეიძე	სსიპ - საქართველოს	უნივერსიტეტის ხარისხის	I, II, IV, V, VI

		ტექნიკური უნივერსიტეტი	უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	
3	ზურაბ გვიშიანი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი	I
4	მარინა ჯავახიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
5	ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„სამოქალაქო ინჟინერიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
6	ირმა ინაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	I
7	კონსტანტინე ბზიავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	I
8	თინათინ დათიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	I
	გიორგი ქვარცხავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი	**II**
9	ნინო ლომიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**II**
10	აკაკი გუნცაძე			**II**

		სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი	
11	მალხაზ დოლიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგროინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი	II
12	დიმიტრი ნატროშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
13	მაია ლომიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასისტენტ-პროფესორი	II
14	ოთარ გელაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი	IV
15	ნათია ბუთხუზი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
16	ნია ნათბილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, „სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
17	ირაკლი გაბისონია	სსიპ - საქართველოს	სამართლისა და საერთაშორისო	V, VI

		ტექნიკური უნივერსიტეტი	ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი	
18	მარიამ ჯიქია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI
19	ვახტანგ ზაალიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V
20	ციალა გლოველი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	V
21	ქეთევან ჯინჭარაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	V
22	თამარ კიკნაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი	VI
23	ქეთევან ჯიჯეიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VI
24	ლილი ხარჩილავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	
25	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
26	კახა კუპატაძე		კანცლერი	III

		სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი		
27	ნანა შონია	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	**III**
28	თენგიზ კუპრაშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის	**III**
29	ია ჩხეიძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
30	მარინე მარინაშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის თანახელმძღვანელი	**III**
31	მამუკა შენგელია	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის პროფესორი	**III**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	მერაბ ბარათაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	პაატა გერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო ტალიკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ნინო ბოგვერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, V
8	ილია წიკლაური	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ქეთევან კინწურაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ქეთევან ცხადაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

13	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
14	ფიქრია ასანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· დიახ

შუამდგომლობა წარადგინა ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა - ლალი ოდიშვილმა, მან გააჟღერა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის თხოვნა „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის მესამე საკითხად გადადების შესახებ.

საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამოქალაქო ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N22, 06 მარტი 2020 წ.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამოქალაქო ინჟინერია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი სამოქალაქო ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია, 0732
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, მ. კოსტავას N77, 0160.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: ხუთივე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები, თუმცა კი ესწრებოდა საბჭოს, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თამარ გვიანიშვილმა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია. თავდაპირველად იგი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი შედგა, როგორც დისტანციურად, ისე ადგილზე დათვალიერებით. ადგილზე შეფასდა მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომლის ნუსხაც ექსპერტებს წინასწარ ჰქონდათ მოწოდებული უნივერსიტეტის მიერ. შეფასდა სპეც-ლაბორატორიები და აუდიტორიები, რომელთაგანაც ყველა იყო სათანადოდ აღჭურვილი. ექსპერტები ასევე დაესწრნენ სასწავლო პროცესის დროს მიმდინარე ცდებს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამ ლაბორატორიის თანამშრომელი. მან აღნიშნა, რომ სამუშაოები ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა, მიუხედავად იმისა რომ სასწავლო პროცესები დისტანციურად მიმდინარეობს ყველგან პანდემიის გამო და ასევე აღსანიშნავი იყო სტუდენტების მაღალი ჩართულობა. ასევე, აღსანიშნია, პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან დაინტერესება სტუდენტების ჩართულობაში სხვადასხვა სტაჟირებებსა და პროგრამებში. გამოკითხულმა დამსაქმებლებმა ცალსახად აღნიშნეს პროგრამის აქტუალურობა და ამ კვალიფიკაციის მნიშვნელობა დარგისთვის. რამდენიმე სტუდენტმა ასევე აღნიშნა, რომ მომიჯნავე პროგრამიდან სტუდენტები მობილობის წესით გადმოდიან ამ პროგრამაზე, რადგან აღნიშნული კვალიფიკაცია და პროგრამა მათთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი. ექსპერტმა გამოყო მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ეხებოდა აბეტის ექსპერტებთან კომუნიკაციას და პროგრამის სწრაფვას, რომ გაიარონ აკრედიტაცია. ექსპერტის თქმით, პროგრამის მიმართ უკვე იყო გარკვეული რეკომენდაციები გაცემული, რომელიც იყო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ აღწერისას გამოირკვა რომ იყო ასევე შესრულებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს თავისთავად ძალიან კარგია, რადგან ეს ყოველივე წარმოადგენს პროგრამის ხარისხის ერთგვარ გარანტიას.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია შეიცვალოს საბაკლავრო პროექტის შეფასების კომპონენტები და შეიქმნას დეტალური რუბრიკები, სადაც ნათლად გამოიკვეთება ისეთი თემები, როგორებიცაა პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარის შეფასება; თემის სიახლის დასაბუთების უნარის შეფასება; გამოყენებული წყაროები/ლიტერატურის დამოწმების და მისი მრავალფეროვნების შეფასება.
2. რეკომენდებულია შეიქმნას შეფასების დეტალური რუბრიკები საბაკლავრო პრაქტიკის დასკვნითი(დაცვის) გამოცდისშემთხვევაში.
3. რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტების პლაგიატის ამომცნობ პროგრამაში შემოწმება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მხრიდან მოწოდებული არგუმენტირებული პოზიცია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იყო გაზიარებული. მან აღნიშნა, რომ ანტიპლაგიატის პროგრამა უზრუნველყოფს ობიექტურ შეფასებას, რასაც ხელმძღვანელი ვერ განახორციელებს, ამრიგად, მან დასძინა, რომ სრულფასოვან, ამომწურავ შეფასებას იძლევა კომბინირებული ფორმა - ანტიპლაგიატის პროგრამა და უკვე შემდგომ ნაშრომის ხელმძღვანელის ანალიზი. მან აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში ეს შესაძლოა იყოს პლაგიატი, მაგალითად: სტატისტიკური მონაცემები, რაც ყველასათვის ხელმისაწვდომია და ცხადია, არ არის ყურადსაღები, თუმცა რიგ შემთხვევებში პლაგიატის დაფიქსირებისას მეტი ყურადღების მიქცევაა საჭირო. მან აღნიშნა, რომ ანტიპლაგიატის პროგრამა არის აპრობირებული მეთოდი უნივერსიტეტებში და თავად აღნიშნული უნივერსიტეტიც იყენებს ანტიპლაგიატის პროგრამას ნაშრომების შემოწმებისას სხვა პროგრამებზე და ექსპერტის აზრით, საჭიროა, რომ ანტიპლაგიატის პროგრამა გამოყენებული იყოს ასევე საბაკალავრო ნაშრომების შეფასებისას აღნიშნულ პროგრამაზე. ექსპერტმა დასძინა, რომ ძალიან აქტიური გუნდი უდგას სათავეში აღნიშნულ პროგრამას და ისინი შედეგზე არიან ორიენტირებულები; მათ გააჩნიათ საკუთარი ხედვა, რომელიც არგუმენტირებებით აქვთ გამყარებული. მან დაამატა, რომ გუნდმა იცის რის მიღწევა სურთ პროგრამით და დარწმუნებულია, რომ ისინი მიაღწევენ კიდეც მიზანს.

16:20 საათზე საბჭოს შემოუერთდა დავით ტეფნაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მას პროგრამასთან დაკავშირებით, დასკვნის წაკითხვის შემდგომ, გაუჩნდა ორი კითხვა. კერძოდ, 2.6 კომპონენტში გაცემულ სამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ რამდენად შესაძლებელია, რომ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სტანდარტი მეტწილად იყოს შეფასებული და ასევე იკითხა, თუკი აღნიშნული სტანდარტია მეტწილად არის შეფასები, მაშინ ლოგიკურად, რამდენად არის შესაძლებელი, რომ 5.1 კომპონენტი იყოს სრულად შესაბამისობაში.

ექსპერტმა იკითხა, გამომდინარე იქიდან, რომ აკრედიტაციის ახალი საბჭო იყო წამორდგენილი, როგორ მოქცეულიყო - ამ ეტაპზე გაეცა საბჭოს თავმჯდომარის კითხვებისთვის პასუხი, თუ სხვა წევრებიც დასვამდნენ და შემდგომ ეპასუხა. საბჭოს თავმდჯომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხვა წევრებსაც ჰქონდათ კითხვები და ურჩია ექსპერტს, რომ ჩაენიშნა შეკითხვები და შემდგომ ეპასუხა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, დასვა ორი კითხვა; პირველი - თუ რამდენი საბაკალავრო ნაშრომის ნახვის შესაძლებლობა ჰქონდათ ექსპერტთა ჯგუფს, რა პრინციპით იყო ისინი შერჩეული და მეორე, რომელიც ასევე ნაშრომებს უკავშირდება - ორი რეკომენდაცია, რაც იყო გაცემული, რისი ნაკლებობაც ჰქონდა პროგრამას ნაშრომების მხრივ, ხომ არ ასახულა ეს თავად ნაშრომების ხარისხზე და თუკი აისახა, როგორ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა პირობით აკრედიტებულია, აკრედიტაცია მიღებული აქვთ 2020 წლის 06 მარტს, შესაბამისად, ამ მოცემულობით ჯერ საბაკალავრო ნაშრომები შესრულებული არაა. გამომდინარე აქედან, არ მოხდა ნაშრომების შემოწმება და მან დასძინა, რომ სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ამ რეკომენდაციების გათვალისწინება, რადგან ჯერ არ შესრულებულა არანაირი ნაშრომი და სამომავლოდ რომ გამოირიცხოს რაიმე სახის ხარვეზი.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დასვა კითხვა ერთ-ერთ რჩევასთან დაკავშირებით, კერძოდ, აღნიშნულია რჩევაში, რომ უნდა გამოირიცხოს სალექციო თემატიკების გადაფარვები, რაზეც საბჭოს წევრს აინტერესებს, რომელ საგნებში ხდება კონკრეტულად გადაფარვა და რამდენად ხშირია ასეთი შემთხვევები.

ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე უფრო დარგის სპეციალისტები ისაუბრებენ დასაბუთებულად, თუმცა დასძინა, რომ ეს არ იყო მნიშვნელოვანი რაოდენობით გადაფარვა, უბრალოდ სასურველია, რომ აღნიშნული დრო გამოყენებული ყოფილიყო სხვა თემის დამუშავებისთვის.

საბჭოს წევრი, ლევან მოსახლიშვილი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა შეკითხვა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით, თუ რამდენად იყო შემოწმებული და პრაქტიკაში გამოყენებული ეს მექანიზმები.

ექსპერტის, თამარ გვიანიშვილის თქმით, ძირითადი რეგულაციიები არის საუნივერსიტეტო, რელევანტური, გამოყენებადი და ამ რეგულაციებით შესაძლებელია სრულფასოვანი შეფასება. მეორე ტიპის რეგულაციები უშუალოდ ამ პროგრამის მიზნებისთვის შექმნილი შემოწმების გეგმა.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა დააზუსტა თავისი კითხვა შემდეგნაირად, რომ ის არა სამართლებრივ დარეგულირებას, არამედ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ან აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დოკუმენტებს ეხებოდა და აინტერესებდა, თუ რამდენად გაეცნენ ექსპერტები ამ დოკუმენტაციას. მისი თქმით, ერთია მექანიზმების არსებობა ხოლო მეორეა მისი გამოყენება.

ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა უპასუხა, რომ ეს შეფასებები იყო გამოკვლეული. ჩატარებული იყო სტუდენტების გამოკითხვები, 2021 წელს შესწავლილი იყო აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამაში, სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასება და ა.შ. ექსპერტისთვის სტუდენტების შეფასებაში გასაკვირი იყო სასწავლო კურსების დასახელება, რომელიც რუსულ ენაზე იყო წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა რომ პროგრამის ენა ქართულია.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, ისევ დაუზუსტა თავისი კითხვა ექსპერტს და იკითხა, ყველა მოცემული მექანიზმი იყო თუ არა გამოყენებული.

ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ იმ ეტაპზე, რა ეტაპზეც იმყოფებოდა პროგრამა, ნამდვილად ყველა მექანიზმი იყო გამოყენებული. თუმცა, ვერ მოხდა სამიზნე ნიშნულებთან შედარება, რადგან უნივერსიტეტის რეგულაციების თანახმად, სამიზნე ნიშნულების შედარება ხდება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ. ასევე, ექსპერტის თქმით, სისტემატიურად ხდება აკადემიური მოსწრების შემოწმება. ამიტომ ყველა ის მექანიზმი. რომლის შემოწმებაც ამ ეტაპისთვის იყო რელევანტური, ნამდვილად იყო გამოყენებული.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, დასვა კიდევ ერთი კითხვა, რომელიც შეეხებოდა გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებს პროგრამის ფარგლებში. კითხვა მდგომარეობდა შემდეგში, რამდენად უზრუნველყოფდა ეს ხელშეკრულებები იმ შედეგებზე გასვლას, რაც პროგრამას ჰქონდა დასახული.

ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ ამ კითხვაზე დარგი უფრო ამომწურავად ისაუბრებდა, თუმცა მისი პირადი აზრით, მიზანშეწონილი არის რომ გაფორმებული იყოს არა მემორანდუმები, არამედ ხელშეკრულებები. რადგან ხელშეკრულება ითვალისწინებს მხარეთა ვალდებულებებს.

ექსპერტმა, პაატა გერაძემ თავდაპირველად მადლობა გადაუხადა ქალბატონ თამარს თავისი მოხსენებისთვის. მან აღნიშნა, რომ ის კომპანიები, რომლებსაც აქვთ ხელშეკრულებები გაფორმებული უშუალოდ არიან ჩართულნი მშენებლობების სფეროში. მაგალითისთვის მან დაასახელა „მშენებელთა ასოციაცია“, რომელშიც გაერთიანებულია მშენებლობასთან დაკავშირებული ბევრი ორგანიზაცია. მათი საქმიანობა პირდაპირაა დაკავშირებული აღნიშნულ პროგრამასთან, „სამოქალაქო მშენებლობასთან“, რომელიც გულისხმობს დიდი მასშტაბის მშენებლობებს, საგზაო მშენებლობებს, წყალმომარაგების მიმართულებით მშენებლობებს, დიდი ზომის ნაგებობებს და ა.შ. ექსპერტმა აღნისნა, რომ ამ მიმართულებით მემორანდუმები და ხელშეკრულებები სწორი მიმართულებით არის გაფორმებული.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი თავდაპირვლად მიესალმა ინსტიტუციასა და ექსპერტებს, გამოხატა თავისი პატივისცემა და გადაუხადა მადლობა ექსპერტს თავისი მოხსენებისთვის. მან დაზუსტების მიზნით წარმოადგინა კითხვა დასკვნაში მოცემულ სასწავლო კურსების შესახებ. ეს კურსებია „წყლის გაწმენდის ინჟინერია“ და „წყლის მიწოდება-განაწილების სისტემები“, „ღია კალაპოტების ჰიდრავლიკა“ და „სითხის მექანიკა“ და სხვა მითითებული კურსები. კითხვა მდგომარეობდა შემდეგში, ამ კურსებში თემათიკის თანმთხვევის გარდა, ლიტერატურა და განმახორციელებელიც ემთხვეოდა თუ განსხვავებული იყო. კითხვა მიემართებოდა ექსპერტებს, თუკი ისინი გაიხსენებდნენ დეტალებს, თუ არადა კითხვა მიემართებოდა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექსპერტი, პაატა გერაძის თქმით, დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოჩნდა, რომ გადაფარვები იყო იმ რამდენიმე სილაბუსში. განმახორციელებელი ერთი და იგივე იყო, ხოლო ლიტერატურაშიც იყო გადაფარვები.

ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა დააზუსტა, რომ ლიტერატურა არ იყო სრულად იდენტური, სხვა სახელმძღვანელოებიც იყო მითითებული დანარჩენი შესასწავლი თემატიკის შესაბამისად.

ექსპერტი, პაატა გერაძე დაეთანხმა ექსპერტ თამარ გვიანიშვილის ნათქვამს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დავით მახვილაძე დიდი პატივისცემით მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს. მადლობა გადაუხადა ობიექტური შეფასებისათვის ექსპერტთა სრულ ჯგუფს და აღნიშნა, რომ ძალიან გამორჩეული ვიზიტი იყო ექსპერტების მხრიდან. პირველ რიგში, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ ეს პროგრამა პირობითი აკრედიტაციით უკვე ორი წელია ფუნქციონირებს და წარსულში არსებული გარკვეული არასასიამოვნო გამოცდილების შედეგად ბევრი რამ გამოსწორდა პროგრამაში. გარდა ამისა, ასევე ითქვა რომ პროგრამა აბეტ აკრედიტაციის მიზნებისთვის არის შექმნილი და გახლავთ მილენიუმის პროექტის ფარგლებში შექმნილი,

რომელსაც ახორციელებს გუნდი ამერიკაში გავლილი სწავლებებით. ასევე უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გააჟღერა მეორე სიახლე, რომელიც შეეხებოდა ამერიკელი ექსპერტების მიერ პროგრამის შემოწმებას აპრილის თვეში. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა რეკომენდაციების ნაწილზე და აღნიშნა, რომ ამ პროგრამის მიმართ განსაკუთრბული ყურადღება აქვთ გამოჩენილი. ეს გამოწვეულია იმ კონცეპტუალური ცვლილებებით, რომელიც პროგრამაში შევიდა კანონმდებლობის დონეზე, როდესაც ახალმა ჩარჩომ გაითვალისწინა ეს მიმართულება ცალკეულად. რეკომენდაციებთან მიმართებაში უნივერსიტეტის წარმომადგენლები არ გამორიცხავენ გაუმჯობესების საკითხს და ამ მხრივ რეკომენდაციების მიმართ მიმღებლობა აქვთ. პირველი საკითხი რეკომენდაციებისა ეხებოდა საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტების საკითხს. ამის საპასუხოდ უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთან მოქმედებს უნიფიცირებულად საბაკალვრო კვლევითი პროექტის, იგივე ნაშრომის შესრულების წესი, სადაც ასახულია ისეთი დეტალები, როგორებიცაა: საბაკალავრო ნაშრომის შინაარსი, პრეზენტაცია, კითხვა-პასუხის მიმართულება, საბაკალავრო პროექტის შექმნის პროცესი. მისი აღნიშვნით, თითოეულ კომპონენტს აქვს თავისი წონა საბოლოო შეფასებაში, რომელიც ხორციელდება ობიექტურად სხვა პროგრამებთან მიმართებაში. დავით მახვილაძის თქმით, მათი შეფასების სისტემა ბაკალავრის საფეხურისთვის აბსოლიტურად მისაღებია. იგი შეეხო მეორე რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა პრაქტიკის შეფასების გაუმჯობესების ნაწილს. მისი აღნიშვნით, ამ ნაწილშიც მოქმედებს პრაქტიკის შეფასების ერთიანი წესი, რომელიც ხელს არ უშლის პროგრამას რომ თავისი სპეციფიკა გაითვალისწინოს. მისი თქმით, შეფასება ხდება შუალედურადაც, იმ პრაქტიკაზე დაყრდნობით, რაც უკვე არსებობდა და ასევე შეფასება ხდება დასკვნითი გამოცდის სახით. ასევე მან აღნიშნა, რომ პრაქტიკის ფარგლებში რაიმე სახის პრობლემას ადგილი არ ჰქონია. ამიტომ აღნიშნული რეკომენდაცია მათი მხრიდან სამომავლო სასარგებლო რჩევად იქნა მიღებული.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი იყო პირველი, ვინც შემოიტანა პლაგიატის ამომცნობი ტექნოლოგიური საშუალება და პირველად გაწერა წესი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პლაგიატის შემოწმების პროცესი. მოქმედი წესის მიხედვით, რომელიც დადგენილია აკადემიური საბჭოს მიერ და არის ბმაში როგორც, ფინანსებთან ისე პრაქტიკულ განხორციელებასთან, პლაგიატის პროგრამა ამოწმებს მხოლოდ სამაგისტრო-სადოქტორო ნაშრომებს. საბაკალავრო ნაშრომის პლაგიატის შემოწმება, თავისი მოცულობისა და დატვირთვის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ არ არის მიზანშეწონილად მიჩნეული და ამ საკითხს უზრუნველყოფს ნაშრომის ხელმძღვანელი და ნაშრომის დაცვის კომისია.

საბჭოს თავმჯდომარემ წარმოადგინა თავისი კითხვა საბაკალავრო ნაშრომის შიდა სტრუქტურის შესახებ, კერძოდ, რა ფორმით ხდებოდა საბაკალავრო ნაშრომის გაწერა და რას მოიცავდა იგი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ კითხვაზე უპასუხა, რომ საბაკალავრო ნაშრომი შეიცავს კვლევას, კვლევის მიზანს, დასმულს ამოცანას, გადაწყვეტის გზებს. მახვილაძემ აღნიშნა, რომ უნიფიცირებული წესი არ გულისხმობდა გაყინულ დოკუმენტს და ცვლილებების, განხორციელება შეიძლება მოხდეს საჭიროებებიდან გამომდინარე. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მიღწევის დადასტურების მექანიზმი აბეტ აკრედიტაციის შემთხვევაში არის განსხვავებული ვიდრე სტანდარტულად, რაც მოიაზრებს, რომ თითოეული კომპონენტი ლექტორის მიერ უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად სტუდენტებთან მიმართებაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა საბჭოს მოახსენა, რომ არსებობდა ორი სილაბუსი: „წყლის მიწოდებისა და განაწილების სისტემები“ და „გამდინარე წყლების გაწმენდის ინჟინერია“. მისი განმარტებით, პირველი საკითხი ეხება სასმელ წყალს, რომელიც ასევე საჭიროებს გაწმენდას. ამიტომ პირველი ეტაპი იწყება გაწმენდით, ისევე როგორც „გამდინარე წყლების გაწმენდის ინჟინერიის შემთხვევაში“. ვინაიდან პირველი ეტაპები ერთნაირია, ტერმინოლოგიურად უნდა იყოს გადაფარული. ეს ორი საკითხი სახელმძღვანელოებშიც გაერთიანებულია. პროგრამის ხელმძვღვანელის აღნიშვნით, მათ გავითვალისწინეს ეს რეკომენდაცია და გაასწორეს ისე, რომ ეს ტერმინოლოგიები აღარ ყოფილიყო აღრეული.

ექსპერტი, თამარ გვიანიშვილი ჩაერთო და აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს შემოღებული პრაქტიკა, რომლის დროსაც პოტენციური დამსაქმებლები და დარგობრივი ორგანიზაციები იღებენ მათგან პროექტებს და მასში აქტიურად რთავენ თავიანთ სტუდენტებს. ფაქტობრიბად, სტუდენტები პრაქტიკას არამარტო ცალკეული პრაქტიკის კურსზე გადიან, არამედ ისინი ცალკეულად ეტაპობრივად იძენენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. რაც შეეხება მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებს, ექსპერტის თქმით, სავსებით საკმარისი იყო წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ ახლიდან წარმოადგინა ინტერესი მის მიერ პირველად დასმულ კითხვაზე პასუხის მისაღებად.

ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა უპასუხა, რომ არ მომხდარა არასრულფასოვანი შეფასება. მისი განმარტებით, პროცენტული მაჩვენებელი ვერ იქნება ხარისხის მექანიზმების ცუდად მუშაობის ან არმუშაობის მაჩვენებელი და ეს არის უბრალოდ გასაუმჯობესებლი გარემოება, რომელიც ხელშეწყობილი უნდა იყოს ზოგადადსაუნივერსიტეტო დონეზე.

საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ წარმოადგინა თავისი კითხვა საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ, ფაქტობრივად, უნივერსიტეტმა უარი თქვა პლაგიატის პროგრამის გამოყენებაზე და იკითხა, თუ რამდენად დარწმუნებული იყვნენ, რომ აბეტის აკრედიტაციის შემთხვევაში პლაგიატის გამოყენების საკითხი არ იქნება მოთხოვნილი. მისი მეორე შეკითხვა მდგომარეობს შემდეგში, თუ რომელი სასწავლო კურსი ეხმარება სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომის სრულყოფილად შესრულებაში, ვინაიდან სილაბუსებში არ ჩანდა, მაგალითად აკადემიური წერის კურსი, რომელიც დაეხმარებოდა სტუდენტს.

პროგრამის ხელმძღვანელმა მოახსენა, რომ აბეტ ექსპერტებთან ყოველ წელს აქვს ურთიერთობა და პლაგიატის პროგრამის მოთხოვნა მათი მხრიდან არ ხდება. პროექტის განსახორციელებლად სტუდენტს სჭირდება არანაკლებ 120 კრედიტი, რომელიც ეხმარება ამ პროექტის განხორციელებაში. სტუდენტს ეხმარება შესაბამისი საგნები პროექტის მიმართულების მიხედვით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ დააზუსტა, რომ პლაგიატის შემოწმებაზე ისინი უარს არ ამბობენ, უბრალოდ მათ არ მიაჩნიათ რომ პროგრამა თავისი კოეფიციენტებით საჭიროა შემოწმდეს პლაგიატზე.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა თუ რამდენი სტუდენტი ირიცხებოდა ამ პროგრმაზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ უპასუხა, რომ ორივე კურსზე ირიცხებოდა 34 სტუდენტი.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა წარმოადგინა კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენკრედიტიანი იყო პროგრამის საბაკალავრო ნაშრომი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ უპასუხა, რომ საბაკალავრო ნაშრომი იყო 10 კრედიტიანი.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა დასვა კითხვა უშვებდნენ თუ არა სტუდენტებს საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს დაგროვებული აქვს 230 კრედიტი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ დააზუსტა რომ პრაქტიკა ჯამში არის 120 კრედიტი და ის წარმოადგენს ნაშრომის წინაპირობას. საბაკალავრო ნაშრომი არის ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა. ხოლო, თუ მას ამ კომპონენტის წინაპირობები დასრულებული აქვს, მაშინ ხელშეშლა არ ხდება საბაკალავრო ნაშრომის დასაცავად.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა დააზუსტა თავისი კითხვა: იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ აქვს მოგროვილი 230 კრედიტი, მაინც უშვებთ თუ არა საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, უპასუხა, რომ პრაქტიკა აქვთ წინაპირობად, თვითონ პრაქტიკას კი აქვს თავისი წინაპირობები. თუ წინაპირობა დაცულია საბაკალავრო პროექტის მუშაობის დაწყების წინ, მაშინ აღარანაირი წინაპირობა აღარ არსებობს გარდა იმისა, რაც უკვე მოეთხოვებოდა საბაკალვრო პროექტს. იმისათვის, რომ კვლევითი კომპონენტი წარმატებულად ჩაითვალოს სასწავლო კომპონენტი 100%-ით უნდა იყოს ამოწურული. ეს ეხება მაგისტრატურასაც და დოქტორანტურასაც, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში, თუკი 120 კრედიტი რომელიც ერთიანდება პრაქტიკაში სტუდენტმა გაიარა, მაშინ დაცვას წინ არაფერი აღუდგება. მახვილაძის განმარტებით, სტუდენტს კვალიფიკაცია არ მიენიჭებბა თუ მინიმუმ 240 კრედიტს არ დააგროვებს პროგრამიდან გამომდინარე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:00
დასრულების დრო: 15:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს სხდომის ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე სხდომაზე დამსწრე წევრებმა მიიჩნიეს, რომ 2.6 კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდეს როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". საბჭოს ამ შეფასებით აკრედიტაციის მეორე სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია შეიცვალოს საბაკლავრო პროექტის შეფასების კომპონენტები და შეიქმნას დეტალური რუბრიკები, სადაც ნათლად გამოიკვეთება ისეთი თემები, როგორებიცაა პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარის შეფასება; თემის სიახლის დასაბუთების უნარის შეფასება; გამოყენებული წყაროები/ლიტერატურის დამოწმების და მისი მრავალფეროვნების შეფასება;
2. რეკომენდებულია შეიქმნას შეფასების დეტალური რუბრიკები საბაკლავრო პრაქტიკის დასკვნითი (დაცვის) გამოცდის შემთხვევაში;
3. რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტების პლაგიატის ამომცნობ პროგრამაში შემოწმება.

რჩევები:

1. მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო კურსების ცალკეული ჯგუფების დასახელებები (მაგ., „არჩევითი ჰუმანიტარული კომპონენტები“, „სავალდებულო არჩევითი უცხოური ენა“ და სხვ.) იყოს თანხვედრაში განათლების სფეროში მიღებულ ტერმინოლოგიასთან;
2. მიზანშეწონილია გამოირიცხოს სალექციო თემატიკის გადაფარვები ზოგიერთ სილაბუსში;
3. სასურველია სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცედურების, მ.შ. შეფასების გასაჩივრების, შესახებ;
4. სასურველია მინიმალური დადებითი შეფასების გაზრდა დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში;
5. სასურველია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში;
6. სასურველია ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება დარგის პოტენციურ დამსაქმებლებთან;
7. მიზანშეწონილია უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შე-დეგები იყოს ფორმალიზებული ისეთი ფორმით, რომლის მეშვეობით დადგინდება უცხოე-თის უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგები;
8. სასურველის პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი - აკადემიური წერა.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგროინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო, 2021, 11 ივნისი, გადაწყვეტილება, #559592
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	„ინჟინერია და საინჟინრო საქმე" - არაკლასიფიცირებული, 0719
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, მ. კოსტავას N77, 0175
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა ამ მიმართულებით მოქმედი ერთ-ერთი პროგრამაა საქართველოში, რაც ვიზიტის დროსაც იქნა გათვალისწინებული. პროგრამა ზედმიწევნით იქნა შესწავლილი ექსპერტების მხრიდან, ვინაიდან სტუდენტებს სხვა ალტერნატივა უკეთეს პროგრამაზე გადასვლის არ ექნებოდათ. ექსპერტების მხრიდან გაცემული იყო და აკრედიტაციის საბჭომ დატოვა 9 რეკომენდაცია და 2 რჩევა. ექსპერტის შეფასებით, მონიტორინგის დასკვნის გაცნობის შემდეგ, ყველა რეკომენდაცია შესრულებული იყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. რეკომენდირებულია დაზუსტდეს წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებში : „გრუნტების მექანიკა, ფუძე საძირკვლები“, „სამელიორაციო ჰიდროტექნიკური ნაგებობები“;
3. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კუსებში სწავლის შედგები შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის საბაკალავრო საფეხურთან;
4. რეკომენდირებულია სწავლა/სწავლების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სპეციფიკასთან;
5. რეკომენდირებულია შეფასების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სპეციფიკასთან;
6. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება;
7. ფინანსური რესურსების გაზრდა პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის;
8. გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
9. სტუდენტების ჩართულობა პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს და დასვა კითხვა 5.1 კომპონენტთან დაკავშირებით, რომელიც მისთვის ბუნდოვანი იყო და საჭიროებდა დამატებით განმარტებას.

ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს უმაღლესი დაწესებულებიდან მოითხოვეს დოკუმენტი ხარისხის მონიტორინგის განხორციელების შესახებ. ეს დოკუმენტი

წარმოდგენილი იყო მეხუთე დანართში, სადაც მოცემული იყო თუ რომელი კურსებით მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგები, რა შეფასებები დაიმსახურეს სტუდენტებმა და მსგავსი სახის ინფორმაცია. პროგრამა აკრედიტირებულია 21 ივნისს, ამიტომ ახლა მიმდინარეობს რეაკრედიტაცია. შესაბამისად, დაწესებულებას წარმოსადგენი ჰქონდათ მხოლოდ მექანიზმი, რომელიც ექსპერტის განმარტებით, აბსოლიტურად შესაბამისია მოთხოვნებთან.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დასვა შეკითხვა 4.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სწავლის შედეგების კითხვარს და ანონიმურობის დაცულობას.

ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა მოახსენა, რომ როდესაც დასკვნას წერდა მაშინ საფუძვლიანად გაეცნო კითხვარს და აღიარა, რომ იგი იდეალურად არ გამოხატავდა სწავლის შედეგებს, რაც აუცლებელი იყო სტუდენტებისთვის შრომის ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად, თუმცა მისი აზრით, აღნიშნული კითხვარი აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელი ოყო სწავლის შედეგების განსასაზღვრად. ექსპერტმა დააზუსტა, რომ გაეცნო ანალიზს კითხვართან დაკავშირებით, რომელიც წარმოდგენილი იყო გრაფიკული სახით. ასევე მან დასძინა, რომ კითხვარები გაკეთებული იყო surveymonkey-ს მეშვეობით და იცავდა სტუდენტების ანონიმურობას.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ წარმოადგინა თავისი მეორე კითხვა, რომელიც ეხებოდა სტუდენტების ჩართულობას მონიტორინგსა და შეფასებაში. მან იკითხა თუ როგორი იყო ამ კითხვარების შევსების მექანიზმი: ნაბეჭდი სახით ხდებოდა შევსება თუ ელექტრონულად; ხდებოდა თუ არა სტუდენტების ანონიმურობის დაცვა; ჰქონდათ თუ არა სტუდენტების კითხვარი შევსებული სახით ნანახი, რადგან ანალიზში 80%-დან 100%-მდე კმაყოფილებაა გამოხატული.

ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა ახსნა, რომ ვიზიტის დროს ეს შეკითხვები თავადაც დასვეს. იმ დროისთვის დაწესებულება მეილებზე გზავნიდა კითხვარის ფორმას, რომელსაც სტუდენტები ანონიმურად ავსებდნენ. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დეტალურად გამოვიკვლიეს ეს საკითხი და დარწმუნდნენ, რომ ანონიმურობა უნივერსიტეტის მხრიდან სრულიად იყო დაცული.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ დასვა კითხვა, რომელიც მიემართებოდა, როგორც ინსტიტუციას, ისე ექსპერტებს. მან ამოიკითხა მონაკვეთი დამსაქმებლის კითხვარის შეფასების დოკუმენტში, რომელიც ეხებოდა სტაჟირების პროცესს და დაინტერსდა, თუ როგორ ხდებოდა სტაჟირების პროცესი; რა მექანიზმებს იყენებს ინსტიტუცია და ექსპერტებმა თუ დასვეს ეს კითხვები ადგილზე.

ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა უპასუხა, რომ სწავლის შედეგები მიიღწევა მაშინ, როდესაც თეორიული და პრაქტიკული სწავლების ორივე ნაწილის გათვალისწინება ხდება. ეს კომპონენტი ადგილზე დამაკმაყოფილებლად შეფასდა და არცერთი რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტთა საბჭომ დატოვა, არ ეხებოდა სტაჟირებას. ექსპერტები ასევე შეხვდნენ დამსაქმებლებს, რომლებმაც დაუდასტურეს სტუდენტების აქტიური ჩართულობა სტაჟირების ვიზიტებში. შედეგად, ექსპერტის თქმით, პრაქტიკის ნაწლი ამ პროგრამაში კარგად არის განხორციელებული.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დასვა დამაზუსტებელი კითხვა, თუ რა ტიპის აცდენაზე იყო საუბარი რეკომენდაციაში: შედეგები იყო დასაკორექტირებელი და შინაარსი პასუხობდა თუ კომპლექსში ერთიანად შეიცვალა.

ექსპერტის, მამუკა ბენაშვილის აზრით, პრობლემა იყო ფორმულირებაში. რჩევა, რომელიც არ გაითვალისწინა დაწესებულებამ, ეხებოდა ფორმულირებას, რომელიც რთულად იყო გაწერილი და ამ ფორმულირებიდან გამომდინარე ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ არ შეესაბამებოდა შესაბამის საფეხურს.

საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე ჩაეკითხა თუ სჭირდებოდა შინაარს ცვლილება.

ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა დაუზუსტა, რომ შინაარს ნაკლებად სჭირდებოდა ცვლილებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და გადავიდა საბჭოს წევრების კითხვებზე პასუხის ეტაპზე. პირველი აქცენტი გააკეთა სტუდენტების ჩართულობაზე და ამ კუთხით კვლევებზე. მისი თქმით, ამ მიმართულებით რეკომენდაცია არ ჰქონიათ, ვინაიდან საანგარიშო პერიოდში პროგრამა იმყოფებოდა სატესტო ეტაპზე. თუმცა ამ ეტაპზე დანერგილია პლატფორმა, რომელიც ახორციელებს გამოკითხვების უზრუნველყობას, სტუდენტებისა და პერსონალის დაკავშირებას თავიანთი იუზერებით, რომელიც იძლევა ანონიმურობის დაცვის საშუალებას. დავით მახვილაძემ მაგალითისთვის მოიყვანა სტუდენტების კმაყოფილების კვლევა ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით, რომელშიც 6194-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, რამაც შეადგინა 353 ფურცელი საანალიზო მასალა იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გაუმჯობესდეს. მახვილაძის თქმით, ისინი მაქსიმალურად ეცადნენ, რომ ექსპერტისთვის და საანგარიშო პერიოდისთვის წარდგენილ ანგარიშში აესახათ ინფორმაცია რეკომენდაციებთან მიმართებაში. მისი თქმით, კითხვარი ეხებოდა კონკურენტუნარიანობის ამაღლების ნაწილსაც და რეკომენდაციასაც, შესაბამისად დოკუმენტი თუ სრულად ვერ ასახავს ანალიზს, ეს გამოწვეულია იმით, რომ რომელიღაც მოცემულობებს დასჭირდება მეტი დრო.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ლომიძემ დაამატა თავისი პასუხი საბჭოს წევრის მიერ დასმულ კითხვაზე, რომელიც მიემართებოდა პრაქტიკასა და სტაჟირების საკითხს. მისი განმარტებით, პროგრამამ მოდიფიცირება განიცადა და შემოვიდა მექანიზაციის ნაწილი. წინა პროგრამისგან ეს პროგრამა განსხვავდება იმით, რომ დამატებულია 15 კრედიტი პრაქტიკა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან დიდი დაინტერესებაა ამ მიმართულებაზე. მან აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აქვთ მოთხოვნა სტაჟირებასა და დასაქმებაზე და ამ ნაწილში არანაირი პრობლემა არ არსებობს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ გააზიარა ეკრანი და საბჭოს წევრებს აჩვენა თუ როგორ მუშაობს დაწესებულების პროგრამა მათივე პლატფორმიდან, როგორ ავსებენ სტუდენტები მიწოდებულ კითხვარს და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა იმის თაობაზე, თუ სტუდენტების რამდენი პროცენტი ავსებს ჯამში კითხვარებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დავით მახვილაძემ უპასუხა, რომ კითხვარში ონლაინ სწავლების კმაყოფილებაზე 6194-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა 21 ათასამდე სტუდენტიდან. მათ ასევე აქვთ საშუალება, რომ ეს ინფორმაცია გაიფილტროს სამიზენე აუდიტორიის შესაბამისად.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დასვა დამაზუსტებელი კითხვა. მისი თქმით, როგორც აღინიშნა ამ გამოკითხვას სტუდენტები რეკლამის სახით ნახულობენ ბაზაში

შესვლისას. მისი კითხვა მდგომარეობს შემდეგში, თუ რამდენად იყო დატესტილი კითხვარი ფოკუს ჯგუფში და თუ ჰქონდათ გათვალისწინებული მექანიკური შევსების პრინციპი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ სამი მთავარი დეტალი იყო გათვალისწინებული ამ პრაქტიკაში. პირველი, რომ სტუდენტებს გაეცნობიერებინათ მათი როლი ამ კითხვარებში მონაწილეობისთვის, მეორე, რაოდენობრივი მოცემულობა და ბოლო, მთავარი გამოწვევა იყო, თუ როგორ მიეზიდათ სტუდენტები. ამიტომ გააკეთეს კითხვარის სამი დონე. ერთი, რომლის დროსაც ინფორმაციის არმიღება ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს. მეორე არის კითხვარი საშუალო დონის მოთხოვნადობის, რომელიც შუალედური გამოცდების დროს საინფორმაციო ფანჯრის სახით ჩნდება და შეიცავს ინფორმაციას თუ რატომ უნდა შეივსოს აღნიშნული კითხვარი და მესამე, მაღალი დონის მოთხოვნადობა, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ იძულებითი წესით პასუხი იქნეს არიდებული. შედეგად დავით მახვილაძის თქმით, აქტიური სტუდენტების რეალური პასუხების პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა დაახლოებით 30 %.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:15
დასრულების დრო: 16:20

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციისდებულების 27[6]მუხლისმე - 2 პუნქტისადა 2[11]პუნქტისსაფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება No 291514, 13.03.2021
5		სამართალი

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ქუთაისი, თამარ მეფის #59
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე და მეოთხე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მეტწილად სტანდარტის მოთხოვნებთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თავდაპირველად მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მოკლედ მოახსენა რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. 1.2. სტანდარტთან მიმართებით: მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უშუალოდ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან კავშირში გადაიხედოს, კერძოდ პროგრამის სწავლის შედეგები ინდივიდუალურად უნდა გაიზომოს და შეფასდეს, ხოლო კონკრეტიკა დაფუძნებული უნდა იყოს ამა თუ იმ სავალდებულო სასწავლო კომპონენტსა თუ კვლევით კომპონენტზე. მას შემდეგ, რაც კონკრეტული სასწავლო კომპონენტის მიმართება დადგინდება პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგთან (შედეგებთან), შემდგომ უნდა დაზუსტდეს, თუ შეფასების რა მეთოდი უნდა იქნეს გა მოყენებული კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგის გასაზომად.
2. 2.3. სტანდარტთან მიმართებით: მიზანშეწონილია, შედეგის სრულად მიღწევის მიზნით, „სამოსამართლო სამართლისა“ და „შედარებითი საკორპორაციო სამართლის“ სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსი გადამუშავდეს რელევანტური თემატიკის ასახვის გზით.
3. 2.4. სტანდარტთან მიმართებით: მიზანშეწონილია, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და მიზნობრიობა.
4. 2.5. სტანდარტთან მიმართებით: მიზანშეწონილია, სწავლება-სწავლის მეთოდები მიზნობრივად იყოს გამოყენებული და გაიმიჯნოს შეფასების ინსტრუმენტებისგან.
5. 2.6. სტანდარტთან მიმართებით: მიზანშეწონილია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმთა ურთიერთ გადაფარვა აღმოიფხვრას და აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების შესახებ ტერმინოლოგიური უზუსტობები სილაბუსებში გასწორდეს.
6. 3.1. სტანდარტთან მიმართებით: მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია, რათა გააღრმავოს და განაახლოს საზღვარგარეთის პარტნიორუნივერ-სიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება.
7. 4.1. სტანდარტთან მიმართებით: მიზანშეწონილია, უსდ-მ შეიმუშაოს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ერთიანი სქემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ აკრედიტაციის სტანდარტებთან. კერძოდ, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელშიც ასახული იქნება სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევითი და სხვა დატვირთვა მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია ამგვარ სქემაში უსდ-მ განსაზღვროს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ისინი არიან დასაქმებულები.
8. 4.4. სტანდარტთან მიმართებით: მიზანშეწონილია პროგრამის ბიუჯეტის ჩამოყალიბება უფრო კონკრეტულად. ბიუჯეტში დეტალურად უნდა აისახოს, თუ რა ხარჯები არის აუცილებელი პროგრამის ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად თითოეულ წელზე და ასევე ჯამურად ორივე წელზე, სავარაუდოდ რამდენი სტუდენტი ისწავლის სამაგისტრო პროგრამაზე, რა იქნება პროგრამის ჯამური შემოსავალი თითოეულ წელზე, ორივე წელზე და შესაბამისი ბალანსი.
9. 5.3. სტანდარტთან მიმართებით: მიზანშეწონილია, მონიტორინგის ღონისძიებები პრაქტიკაში ეფექტიანად იყოს გამოყენებული, ასევე, განსაკუთრებული ყურადღება

მიექცეს არსებული ხარვეზების, მათ შორის სამაგისტრო კვლევების ფარგლებში ხარისხისა და პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგს, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის, შეფასების მექანიზმებისა და სილაბუსის დახვეწას.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, უნივერსიტეტს ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მადლობა და დიდი პატივისცემა გამოხატა საბჭოს წევრების მიმართ და აღნიშნა, რომ არ აქვთ აცილება საბჭოს წევრების მიმართ.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ყველა გამოვლენილი უზუსტობა ზეგავლენას ახდენს პროგრამის მდგრადობაზე, რომელსაც წარმოადგენს დასაქმებული პერსონალი. მისი შეკითხვა ეხება 4.1. სტანდარტს აკადემიური პერსონალის დატვირთვასთან მიმართებაში. მან იკითხა, თუ რამდენად კარგად გაართმევს აკადემიური პერსონალი თავს ამ უზუსტობების გასწორებას. ასევე, თუ არის განსაზღვრული აკადემიური პერსონალის დატვირთვა ხელშეკრულების დონეზე და ხელშეკრულებაში რამდენად არის ასახული რაიმე სახის მოთხოვნა აფილირებული ან მოწვეული პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი მიესალმა ინსტიტუციასა და ექსპერტებს. ექსპერტს დაუსვა დამაზუსტებელი კითხვა სწავლის შედეგების მიღწევადობასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ერთი მხრივ კარგად არის პროგრამა გაწერილი და დარგობრივ მახასიათებელს შეესაბამება, მაგრამ მეორე მხრივ, დასაზუსტებელია იმ სასწავლო კურსების ჩამონათვალით რამდენად რეალურად შეიძლება დაიფაროს სწავლის შედეგი სამაგისტრო საფეხურზე.

საბჭოს წევრი, ირინა გველესიანი მიესალმა საბჭოს წევრებსა და ესპერტებს და დასვა კითხვა ინგლისურენოვანი არჩევითი საგნების სილაბუსებთან დაკავშირებით. მოწოდებული მასალებით დგინდება, რომ სამი საგანი ისწავლება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. ხოლო ინგლისურ და ქართულენოვან სილაბუსებში სავალდებულო და ძირითადი ლიტერატურა წარმოდგენილი იყო ძირითადად ქართველ ავტორთა ნაშრომებით. საბჭოს წევრმა მოითხოვა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გაეკეთებინათ კომენტარი.

ექსპერტი, ილია წიკლაური მიესალმა საბჭოს და წარმოადგინა თავისი პასუხი მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ აკადემიური პერსონალის უმეტესობა სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილი და საკმაოდ კვალიფიციური კადრია, ამიტომ კონტეგენციის თვალსაზრისით, ისინი თავს კარგად გაართმევენ უზუსტობების გამოსწორებას. ექსპერტმა ასევე უპასუხა მეორე შეკითხვას აკადემიური პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ინფორმაცია მათი პედაგოგიური მოღვაწეობის მიმართულებით თუ რა აქვთ განსახორციელებელი, რამდენი საათი უნდა იაქტიურონ, სამეცნიერო მიმართულებით შესრულებული სამუშაო და მსგავსი სახის ინფორმაცია ზოგად დოკუმენტშიც და ხელშეკრულებებიც არის ასახული. თუმცა, დატვირთვის სქემის საჭიროება, მისი აზრით, ნამდვილად არსებობს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ბოგვერაძე გამოეხმაურა ქალბატონი ეკატერინე ნაცვლიშვილის მიერ დასმულ კითხვას და განმარტა, რომ მათი საერთო შეფასებით, ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები არ იქონიებს ნეგატიურ გავლენას პროგამის სწავლის შედეგებზე.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თავისი კითხვა, თუ რამდენად რეალისტურია პროგრამაში შემოთავაზებული ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ პირველი და მეორე სტანდარტის შეფასებისას ყურადღება სწორედ ამაზე იქნა გამახვილებული. წინა აკრედიტაციის დროს კონკრეტული რეკომენდაციების შედეგად დაემატა სასწავლო კურსები,რომლებიც აუცილებელი იყო სწავლის შედეგების მისაღწევად. ამდენად ამ მხრივ ექსპერტების მხრიდან პრობლემა არ გამოვლენილა. ინგლისურენოვან საგნებთან დაკავშირებით, მისი აზრით, მისასალმებელია რომ ისწავლება სამი ინგლისურენოვანი საგანი. ექსპერტი დაეთანხმა, რომ ლიტერატურაში არის ქართველი ავტორები წარმოდგენილი, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ ასევე არის უცხოენოვანი ლიტერატურაც. მისი თქმით, შესაძლებელია რომ გარკვეული მითითება ლიტერატურის უცხოენოვანი ავტორებით გამდიდრებასთან დაკავშირებით შეიძლება გაიცეს, თუმცა სამივე საგანი არჩევითი საგნების მოთხოვნებს აკმაყოფილებს სრულიად.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დასვა დამაზუსტებელი კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რას გულისხმობს 1.2. რეკომენდაციაში არსებული მითითება პროგრამის სწავლის შედეგების ინდივიდუალურად გაზომვასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ბოგვერაძემ განმარტა, რომ ინდივიდუალურად გაზომვა გულისხმობს სავალდებულო სასწავლო კომპონენტს უნდა ეფუძვნებოდეს კონკრეტიკა თუ კვლევით კომპონენტს. მან ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში უნდა დაზუსტდეს კონკრეტულად შეფასების რა მეთოდებია გამოყენებული. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წინა აკრედიტაციის დროს არსებული რეკომენდაციები 1 და 2 სტანდარტებთან მიმართებით უნივერსიტეტის მხრიდან გათვალისწინებულია და ამ მხრივ, დამატებით იქნა მითითებული კონკრეტული სწავლის შედეგების მექანიზმის დახვეწის საჭიროებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დაზუსტების მიზნით დაუსვა შეკითხვა დარგის ექსპერტებს იმასთან დაკავშირებით, თუ სასწავლო კურსი არ არის სპეციფიკური კურსი, უცხოენოვანი ლიტერატურის მითითებას რამდენად იტანს.

ექსპერტი, ილია წიკლაურმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების მიმართულებით ორი გამოწვევაა, რომელიც ლოკალური მასშტაბისაა. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია მოწმდება ჩარიცხვისას, პრაქტიკაში პრობლემატურია სტუდენტების მხრიდან უცხოენოვანი ლიტერატურის ათვისება. ეს კითხვა დასმული იყო სტუდენთა გამოკითხის პანელზე და მათ დაუდასტურეს ექსპერტებს, რომ უცხოენოვან ლიტერატურასთან მუშაობას ისინი ახორციელებენ. ამიტომ ილია წიკლაურის თქმით, თუ შედარებითია, აღნიშნული დოკუმენტაცია დიდი მნიშვნელობისაა. ხოლო თუკი შედარებითი არ არის, დამატებითი ლიტერატურის მითითებაში ის პრობლემას ვერ ხედავს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას სთხოვა წარედგინათ თავიანთი მოსაზრება და დაზუსტების მიზნით დასვა კითხვა აღეწერათ სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის პროცესი.

პროგრამის ხელმძღვანელმა თავდაპირველად მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს დღის წესრიგიდ გადანაცვლებისათვის და თანადგომისთვის. მან მოკლედ აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია არის ძალიან მნიშვნელოვანი და ამ რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ პროგრამის შემდგომი დახვეწის მიზნით. მან უპასუხა სხდომის თავმჯდომარის კითხვას სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის პროცესთან დაკავშირებით. მისი თქმით, უნივერსიტეტი ყველანაირად ცდილობს, რომ სტუდენტებს თემის არჩევისას თავისუფლება არ შეუზღუდონ. მათ აქვთ სამაგისტრო ნაშრომების წინასწარ დამტკიცებული ჩამონათვალი, რომელსაც სტუდენტს სთავაზობენ, თუმცა სტუდენტს შეუძლია სურვილისამებრ მისი შეცვლა. პროგრამის ხელმძღვანელის აღნიშვნით, საწყის ეტაპზე

სტუდენტებისთვის, რომლებისთვისაც ეს პირველი კვლევითი გამოცდილებაა, რთულია შერჩევა ამა თუ იმ მიმართულებაში რა ტიპის კვლევის ობიექტზე უნდათ განახორციელონ კვლევა, ამიტომ სამაგისტრო ნაშრომების ჩამონათვალს აქვს საორიენტაციო ხასიათი. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ჩამოყალიბებულია სხვა თემატიკაზე, ამ საკითხს განიხილავს ფაკულტეტი. მისი თქმით, არცერთი შემთხვევა არ ყოფილა რომ სტუდენტის ინიციატივა თემის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით არ ყოფილიყო გათვალისწინებული ფაკულტეტის მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუ პლაგიატის შემოწმების რომელ პროგრამას იყენებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განუმარტა, რომ დაწესებულება იყენებს პლაგიატის პროგრამა “Turnitin”-ს. ისინი 2018 წლიდან ჩართულები არიან ინთეგრითის პროექტში, ხოლო პროექტის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი ყიდულობს ლიცენზიას. აღნიშნული პროგრამით მოწმდება ყველა სამაგისტრო ნაშრომი და ამავე დროს, მოწმდება სამაგისტრო პროგრამის პირველ, მეორე და მესამე სემესტრის რამდენიმე კურსში გარკვეული აქტივობებიც. მისი განმარტებით, ის ტექნიკური ხარვეზი რაც სილაბუსში იყო ჩარჩენილი უკვე აღმოფხვრილია. რაც შეეხება თანხვედრის საკითხს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია მაქსიმუმ 10-15% დამთხვევა მხოლოდ სტანდარტული ტერმინოლოგიის დამთხვევის შემთხვევაში.

პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა ყველას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს საინტერესო რეკომენდაციებისათვის. მან ისაუბრა აკადემიური პროგრამის დატვირთვასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ყოველწლიურად მათ აქვთ ექსელის დოკუმენტი, რომელშიც სხვა უნივერსიტეტში დატვირთვას არ ასახავენ, ამიტომ აღნიშნულ რეკომენდაციას გაითვალისწინებენ. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტების ძალიან ღირებული რეკომენდაციაა სწავლის მეთოდების და შეფასების მეთოდის გამიჯვნა და კარგი იქნება თუ დარგობრივ დოკუმენტშიც ჩაიწერება განმარტება ამ ორი საკითხის გამიჯვნასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მოითხოვა დაეზუსტებინათ, თუ რა იყო სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა.

პროგრამის ხელმძღვანელმა დააზუსტა, რომ პროგრამაში ტექნიკურად არ არის ასახული, თუმცა რეალურად სტუდენტის მიერ არჩევითი საგნების კრედიტების მინიმუმი 20 კრედიტით უნდა შეიზღუდოს იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც კვლევას განახორციელებს, რათა სტუდენტის კვლევა ეფუძვნებოდს მყარ თეორიულ ცოდნას.

ექსპერტი, მიხეილ ბიჭია პირველ რიგში მიესალმა აკრედიტაციის განახლებულ საბჭოს და უსურვა წარმატებები მათ. ასევე მიესალმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და კოლეგა ექსპერტებს. იგი გამოეხმაურა 4.1. რეკომენდაციასთან დასმულ კითხვას და დააზუსტა, რომ მე-4 სტანდარტში არის ოთხი ქვესტანდარტი. აქედან, 4.1 ეხება კვალიფიკაციის პრობლემას, 4.2 სამეცნიერო-პროფესიული განვითარების ნაკლებობას, 4.3 მატერიალური-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით არსებულ პრობლემებს, ხოლო 4.4 ბიუჯეტთან დაკავშირებულ პრობლემას. მისი თქმით, არანაირი პრობლემა კვალიფიკაციის ნაწილში არ ყოფილა, თუმცა სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებით ისინი გადიან ორ ფილტრს. პირველი, გულისხმობს ცენტრის მხრიდან მიღებულ უკუკავშირს, ხოლო მეორე,

უნივერსიტეტის მხრიდან მიღებული უკუკავშირის შედეგად შესულ კორექტირებას დასკვნაში. მისი თქმით, პერსონალის დატვირთვის სქემას მჭიდრო კავშირი აქვს სამეცნიერო პროდუქტიულობის შენარჩუნებასთან, ამიტომ ერთი მხრივ რაკი სტანდარტის გამოხატულებაა მათ მიაქციეს ამას ყურადღება, ხოლო, მეორე მხრივ, გათვალისწინებული იქნა გარემოება, რომ არ შეექმნათ საფრთხე იმ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რომლებიც აქ არიან დასაქმებული და შეიძლება სხვა უნივერსიტეტებშიც ჰქონდეთ შრომითი ურთიერთობა. 2.5 სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტმა მოახსენა, რომ დარგობრივი მახასიათებლების ჩამოყალიბების დროს, მუშაობდნენ სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის, სწავლების მეთოდებსა და აქტივობებზე. ამ საკითხზე რამდენიმე პროფესორი მუშაობდა და ითვალისწინებდა, რომ უნდა გამოკვეთილიყო სწავლების მეთოდსა და შეფასების ინსტრუმენტს შორის გამიჯვნის პრობლემა. მათ ჩათვალეს, რომ მიუხედავად დარგობრივ მახასიათებელში არსებული უზუსტობისა, ეს რჩევა სარეკომედაციო სახისაა. რაც შეეხება პლაგიატთან დაკავშირებულ დეტალებს, 20-40 %მდე მაჩვენებელი დასაშვებია, თუმცა, რეალურად, არცერთი პროცენტული ოდენობა პლაგიატისა არ არის დასაშვები. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში რეკომენდაცია იყო რომ ტერმინი პლაგიატი შეცვლილიყო სხვა ტერმინით, როგორიცაა მაგალითად, დამთხვევა. ექსპერტის თქმით, ტერმინოლოგიური ნაწილის აღმოფხვრით ხარისხობრივი მექანიზმიც დაიხვეწება. ბოლოს ექსპერტი შეეხო კრიტერიუმების გადაფარვის საკითხს და აღნიშნა, რომ ამ ნაწილში უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაციები. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ღიაა რეკომენდაციების მისაღებად და გასათვალისწინებლად, შესბამისად, ნათელია, რომ პროგრამა არის ორიენტირებული შედეგსა და განვითარებაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:05
დასრულების დრო: 17:15

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უშუალოდ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან კავშირში გადაიხედოს, კერძოდ პროგრამის სწავლის შედეგები ინდივიდუალურად უნდა გაიზომოს და შეფასდეს, ხოლო კონკრეტიკა დაფუძნებული უნდა იყოს ამა თუ იმ სავალდებულო სასწავლო კომპონენტსა თუ კვლევით კომპონენტზე. მას შემდეგ, რაც კონკრეტული სასწავლო კომპონენტის მიმართება დადგინდება პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგთან (შედეგებთან), შემდგომ უნდა დაზუსტდეს, თუ შეფასების რა მეთოდი უნდა იქნეს გა მოყენებული კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგის გასაზომად;

2. რეკომენდეირებულია, შედეგის სრულად მიღწევის მიზნით, „სამოსამართლო სამართლისა“ და „შედარებითი საკორპორაციო სამართლის“ სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსი გადამუშავდეს რელევანტური თემატიკის ასახვის გზით;
3. რეკომენდირებულია, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და მიზნობრიობა;
4. რეკომენდირებულია, სწავლება-სწავლის მეთოდები მიზნობრივად იყოს გამოყენებული და გაიმიჯნოს შეფასების ინსტრუმენტებისგან;
5. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმთა ურთიერთგადაფარვა აღმოიფხვრას და აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების შესახებ ტერმინოლოგიური უზუსტობები სილაბუსებში გასწორდეს;
6. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია, რათა გააღრმავოს და განაახლოს საზღვარგარეთის პარტნიორუნივერ-სიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება;
7. რეკომენდირებულია, უსდ-მ შეიმუშაოს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ერთიანი სქემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ აკრედიტაციის სტანდარტებთან. კერძოდ, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელშიც ასახული იქნება სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევითი და სხვა დატვირთვა მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია ამგვარ სქემაში უსდ-მ განსაზღვროს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ისინი არიან დასაქმებულები;
8. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტის ჩამოყალიბება უფრო კონკრეტულად. ბიუჯეტში დეტალურად უნდა აისახოს, თუ რა ხარჯები არის აუცილებელი პროგრამის ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად თითოეულ წელზე და ასევე ჯამურად ორივე წელზე, სავარაუდოდ რამდენი სტუდენტი ისწავლის სამაგისტრო პროგრამაზე, რა იქნება პროგრამის ჯამური შემოსავალი თითოეულ წელზე, ორივე წელზე და შესაბამისი ბალანსი;
9. რეკომენდირებულია, მონიტორინგის ღონისძიებები პრაქტიკაში ეფექტიანად იყოს გამოყენებული, ასევე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არსებული ხარვეზების, მათ შორის სამაგისტრო კვლევების ფარგლებში ხარისხისა და პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგს, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის, შეფასების მექანიზმებისა და სილაბუსის დახვეწას.

რჩევები:
1. სასურველია, განახლდეს სამართლის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა უნივერსიტეტის ვებგვერდზე [https://atsu.edu.ge/index.php/business-progs/business-2021-2022];
2. სასურველია, კურიკულუმის წარმოდგენილ დოკუმენტში, პროგრამის სტრუქტურაში, მე-6 გვერდის პირველივე აბზაცში სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტის კრედიტი გასწორდეს და განისაზღვროს 30 (ECTS) კრედიტით;
3. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსსა და კურიკულუმში აღნიშნული ჩანაწერები სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წინაპირობებთან დაკავშირებით შეივსოს და შესაბამისად ჩამოყალიბდეს: სილაბუსში დამატებით დაკონკრეტდეს დაშვების წინაპირობად სტუდენტის მიერ 20 (ECTS) კრედიტის დაგროვება არჩევითი სასწავლო კურსებიდან თემის შესაბამისი მიმართულების მიხედვით;
4. სასურველია, რამდენიმე სასწავლო კურსის („შედარებითი საკორპორაციო სამარ-თალი“, „სამოსამართლო სამართალი“,„ინფორმაციის თავისუფლების პრაქტიკული ასპექტები“, „საბანკო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა“, „საგადასახადო სამარ-თლის პრაქტიკუმი“, „საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები“, „ევროკავშირის სამართალი -

ასოცირების ხელშეკრულებადა მათი გავლენა ქართულკანონმდებლობაზე“) სილაბუსებში არსებულსავალდებულო ლიტერატურას დაემატოს სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ნაშრომებიც;
5. სასურველია, სასწავლო კურსის „საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები“ სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი ქმნიდეს სემესტრის განმავლობაში მათიგაცნობის გონივრულ ვარაუდს;
6. სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოვოს კურ იკულუმის გარე აქტივობები და მეტად უზრუნველყოს სტუდენტების დაინტერესება ამგვარ ღონისძიებებსა თუ პროგრამებში მათი აქტიური ჩართვის მიზნით;
7. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარდა, ასევე, შედიოდნენ გარეექსპერტებიც;
8. სასურველია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს სტუდენტთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმი: (ა) დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის გარეთ (კურიკულუმს ფარგლებს გარეთ) არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა, კვლევით აქტივობებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით განახორციელოს წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობებში სტუდენტების ჩართულობა; ამავედროს, (ბ)უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზების სწავლის პროცესში გამ ოყენების თაობაზე და განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა სტუდენტების მიერ სწავლის პროცესში სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით;
9. სასურველია, სტუდენტს ჰქონდეს უფრო მეტი თავისუფლება, დამოუკიდებლად აირჩიოს სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში საკვლევი თემა და თემის ხელმძღვანელთან კონსულტაციის დახმარებით, ინდივიდუალურად განსაზღვროს როგორც კვლევის მიმართულება, ასევე საკვლევი თემის სათაური;
10. სასურველია, ლექტორთა შეფასებისთვის პანდემიის დროსაც იყოს ურთიერთ დასწრების მექანიზმი გამოყენებული, დისტანციური სწავლების პირობების გათვალისწინებით;
11. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სასწავლო პროცესის სრული ციკლის ამსახველი ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი რეკომენდაციები და წინადადებები;
12. სასურველია სილაბუსები გამდიდრდეს თანამედროვე, ინგლისურენოვანი ლიტერატურით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

17:16 საათზე საბჭო დატოვა ლევან მოსახლიშვილმა.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 6 ივლისის N6802451 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. 68, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სასწავლო კორპუსი I, 0175, საქართველო, თბილისი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

ეკატერინე შაკიაშვილმა მეოთხე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტი,, ქეთევან კინწურაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას ქეთევან კინწურაშვილმა განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან მიიღო სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში და ანგარიშზე დასართავი დოკუმენტაცია. მან აღნიშნა, რომსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული 6 რეკომენდაციიდან დაწესებულების მიერ შესრულდა ექვსივე რეკომენდაცია, თუმცა ერთი შესრულდა ნაწილობრივ. მან განმარტა, რომ 2.3 კომპონენტთან მიმართებით შემუშავებულ რეკომენდაციაში, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსს „ხელოსნური წარმოება და ტყავის დამუშავების ხალხური წესების“ სილაბუსში დაემატებინათ და გაეღრმავებინათ ლიტერატურა დაწესებულების მხრიდან რეკომენდირებულ ავტორთაგან დაემატა მხოლოდ ერთი ლიტერატურა.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა როგორც ექსპერტს ასევე დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ სასწავლო კურსს „ხელოსნური წარმოების“ და „ტყავის დამუშავების ხალხური წესების“ სილაბუსში დამატებული მხოლოდ ერთი ლიტერატურა იყო თუ არა საკმარისი სტუდენტს მიეღო ის ინფორმაცია რაც საჭირო იყო სწავლის შედეგის მისაღწევად.

ექსპერტმა, ქეთევან კინწურაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული ლიტერატურის დამატებით შინაარსობრივი მხარე ნაწილობრივ შეივსო და სწავლის შედეგები მიიღწეოდა, თუმცა სასურველი იქნებოდა რომ დაემატებინათ სხვა ლიტერატურაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ლიტერატურით კურსის მიზანი თავისუფლად მიღწევადია და კურსი ამ კუთხით ბოლომდე გამართულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილვევ საკითხთან მიმარტთებით

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა როგორც ექსპერტს ისე დაწესებულების წარმომადგენლევს მოხდა თუ არა დაწესებულების მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევების გათვალისწინება.

ექსპერტმა, ქეთევან კინწურაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ რჩევებს დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს სამომავლოდ, რადგან ამისი ნიშნები სახეზე უკვე არის, თუმცა ამისდამადასტურებელი შესაბამისი თანდართული დოკუმენტაცია ჯერ არ იყო წარმოდგენილი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნია ნათბილაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის წარმომადგენლები ხარისხის სამსახურთან ერთად იზიარებდნენ რჩევებს და მათი თქმით, ყველა რჩევა უკვე დამუშავებულია მათი მხრიდან და იქნება გათვალისწინებული სამომავლოდ.

ექსპერტმა, ქეთევან კინწურაშვილმა დამატებით განმარტა, რომ დაწესებულებამ მზაობა გამოხატა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევების შესრულებაზე, თუმცა წარმოდგენილ ანგარიშში ეს საკითხი ჯერ არ იყო დადასტურებული.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ რჩევები დიდი ნაწილი უკვე გათვალისწინებული იყო..

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:32
დასრულების დრო: 17:36

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 25 მარტის N 285831 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 - სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას 77, თბილისი VI კორპუსი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

ეკატერინე შაკიაშვილმა მეხუთე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება, საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გიორგი მახარობლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან განაცხადა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა 2.4, 2.5, მე-3 და 4.1 სტანდარტები. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა დისტანციურ ფორმატში, ონლაინ პლატფორმა ზუმის მეშვეობით. მან განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და დისტანციური ვიზიტის შედეგად არსებითი, სტანდარტთან შესაბამისობისთვის სარეკომენდაციო ხასიათის შეფასებები არ გამოკვეთილა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა მხოლოდ რჩევები სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატთან დაკავშირებულ ჩანაწერთან მიმართებაში, რომელიც სასურველია დაწესებულებამ გაითვლისწინოს. გიორგი მახარობლიშვილმა დამატებით განმარტა, რომ უსდ-ის მაგისტრატურის დებულების 7.11 მუხლი ითვალისწინებს ჩანაწერს, რომ „სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არსებობა ან და სხვა ნაშრომებიდან ნორმაზე მეტი ტექსტის ციტირება არის მაგისტრანტის დაცვაზე არ დაშვების საფუძველი.“ აღნიშნული ჩანაწერის ის ნაწილი, რომ „ნაშრომიდან „ნორმაზე მეტი“ ტექსტის ციტირება არის ბუნდოვანი და ის მოითხოვს დაკონკრეტებას (ის, შესაძლოა, დაკონკრეტდეს პლაგიატზე შემოწმების დოკუმენტში), რადგან წინასწარ უნდა არსებობდეს შეფასების კრიტერიუმები, ხოლო ციტირების რაოდენობის შეზღუდვა სამეცნიერო-კვლევით ნაშრომთან მიმართებით, სასურველია, არ არსებობდეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რჩევები:

1. 2.4. სტანდარტთან მიმართებით: სასურველია, რომ 7.11 მუხლის ჩანაწერის -„სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არსებობა ან და სხვა ნაშრომებიდან ნორმაზე მეტი ტექსტის ციტირება არის მაგისტრანტიც დაცვაზე არდაშვების საფუძველი“ -ის ნაწილი, რომელიც „ნორმაზე მეტის ტექსტის ციტირებას“ ეხება, გადაიხედოს.
2. 2.6. სტანდარტთან მიმართებით: სასურველია, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს #01-05-04/133 დადგენილებით, დადგენილების დანართი2-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი გადაიხედოს.
3. 3.1. სტანდარტთან მიმართებით: სტუდენტისათვის ერთი პორტალის შეთავაზება, როგორც სერვისების მოქნილი ფორმატი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, თუ პლაგიატის შემოწმების რომელ პლატფორმას იყენებდა დაწესებულება; გაეცნენ თუ არა ექსპერტები იმ 30-ზე მეტ ნაშრომს, რომლებიც საჯარო დაცვაზე არ იყო დაშვებული მიღებული შედეგების გათვალისწინებით.

რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ქეთევან ცხადაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება იყენებდა strikeplagiarism.com პლატფორმას და დამატებით აღნიშნა, რომ ექსპერტებმა გამოითხოვეს ნაშრომები წლებისა და შეფასებების მიხედვით და ამის გათვალისწინებით მოხდა ნაშრომების გადახედვა.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ ჩაეკითხა ექსპერტს იმის თაობაზე, მოხდა თუ არა კონკრეტულად იმ ნაშრომების გადახედვა, რომელიც არ დაიშვა დაცვაზე.

რაზეც ექსპერტმა, ქეთევან ცხადაძემ, განმარტა რომ ექაპერტთა ჯგუფმა განიხილა მხოლოდ შეფასებული ნაშრომები.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა, რომ ნაშრომები, რომლებიც დაცვაზე არ დაიშვა ექსპერტების მხრიდან არ იყო შემოწმებული და მხოლოდ გასაუბრების დროს მოპოვებულ ინფორმაციას ეყრდნობოდნენ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა დამატებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ექსპერტებს განუმარტა, რომ აღნიშნული ნაშრომები დაცვაზე არ დაუშვეს პლაგიატის პროგრამის გამოყენების შემდეგ.

ექსპერტმა, ქეთევან ცხადაძემ დამატებით აღნიშნა,, რომ ექსპერტებმა გამოითხოვეს სტატისტიკური მონაცემები, საიდანაც გამოიკვეთა თუ რამდენი ნაშრომი არ იქნა დაშვებული.

საბჭოს წევრნა, ირინა ლობჟანიძემ დასვა კიდევ ერთი დამაზუსტებელი შეკითხვა, იმის თაობაზე, მუშაობდა თუ არა სამაგისტრო ნაშრომების შეფასების გასაჩივრების მექანიზმი და თუ ყოფილა ასეთი შემთხვევა, რომელსაც ექსპერტები გაეცნენ.

ექსპერტმა, ქეთევან ცხადაძემ განმარტა, რომ მოკლებულები იყვნენ შესაძლებლობას შეხვედროდნენ კურსდამთავრებულებს, ვინაიდან ინტერვიუ, რომელიც ეხებოდა მაგისტრანტ სტუდენტებს, ჩატარდა იანვარში, რა დროისთვისაც მოხერხდა მხოლოდ პირველი და ახლა უკვე მეორე სემესტრის სტუდენტებთან შეხვედრა. ამიტომ სამაგისტრო ნაშრომების შეფასების გასაჩივრების მექანიზმის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდათ თუ არა ნანახი e-learning.gtu.ge და leqtori.gtu.ge პლატფორმები და მიმართა თხოვნით განემარტათ რა ინფორმაციას მოიცავდა აღნიშნული პლატფორმები,

ექსპერტმა, ქეთევან ცხადაძემ განმარტა, რომ leqtori.gtu.ge პლატფორმაზე იყო მოცემული მარეგულირებელი აქტები, ხოლო e-learning.gtu.ge წარმოადგენდა სტუდენტის პირად გვერდს. რჩევის სახით ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ მოქნილობისა და ეფექტურობისთვის კარგი იქნებოდა არსებული სამი პლატფორმის ერთ პლატფორმაში გაერთიანება.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ მიმართა თხოვნით ექსპერტებს შეეფასებინათ სამაგისტრო ნაშრომების დონის პოზიტიური მაჩვენებელი და განემარტათ, ეს მაჩვენებელი მხოლოდ პლაგიატზე შემოწმების შედეგი იყო თუ არსებობდა დამატებითი რეგულაციები, რომელიც დაწესებულებამ გაატარა ამ შედეგის მისაღებად.

ექსპერტმა, გიორგი მახარობლიშვილმა განმარტა, რომ მონიტორიგნის მთავარი დანიშნულება იყო სამაგისტრო ნაშრომისა და პლაგიატთან დაკავშირებული მექანიზმების გადახედვა. არაგეგმიურ მონიტორინგის ფარგლებში წინა აკრედიტაციის დროს გაცემული

რეკომენდაციების შესრულების შემოწმება დროსთან მიმართებაში შეუძლებელი იყო. ამიტომ, კომისიის ეს დაკვნა დადებითია იმ მიმართულებით, რომ დაწესებულებას აკადემიურ წერასთან დაკავშირებით სილაბუსი გადახედილი აქვს, სადაც სამაგისტრო ნაშრომების სათაურებიც რეკომენდაციიდან მონიტორინგამდე პერიოდში დაკონკრეტებულია ისე, რომ თემა მთლიანად ამოწურვადია. რაც შეეხება, პლაგიატთან დაკავშირებით ჩანაწერებს და პროცესს კარგად მუშაობს. თემის შერჩევა, თემის დაკონკრეტება და აკადემიური პერსონალის ჩართულობა უზრუნველყოფილია.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა თხოვნით ექსპერტტა ჯგუფს, რომ 2.6 ქვეკომპონენტთან მიმარტებით შემუშავებული რჩევა უფრო მეტად განემარტათ.

ექსპერტმა, გიორგი მახარობლიშვილმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი ითვალისწინებს შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს, შეფასების პროცედურებს. შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები გამჭვირვალეა. მან დამატებით აღნიშნა რომსამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებასთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. იგი შეეხო სამი პორტალის ერთდროულად მუშაობის საკითხს და აღნიშნა, რომ ეს პორტალი სრულად უზრუნველყოფდა იმ ყველა ფუნქციის შესრულებას, რაც სასწავლო პროცესისთვის აუცილებელია. E-learning პლატფორმასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პლატფორმა ძალიან მოსახერხებელი იყო სტუდენტებსა და ლექტორებს შორის საკომუნიკაციოდ, განსაკუთრებით, პანდემიის პერიოდში. მან აღნიშნა, რომ ორივე პლატფორმის გამოყენება დუბლირებას არ ქმნის და სტუდენტებისთვის არსებობს, როგორც ერთი ისე მეორე პლატფორმის ალტერნატივა.

პლაგიატის ნაწილზე მან განაცხადა რომ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა შემოიღო მაგისტრატურის ნაშრომებზე პლაგიატის შემოწმების მექანიზმი. მისი თქმით, არსებობს კომისია, რომელიც პლატფორმასთან ერთად აფასებს პლაგიატის მიზეზების ობიექტურობას. ასევე, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების ნაწილში ისინი იყენებენ სამ კოეფიციენტს. კოეფიციენტი 1, რომელიც 5 სიტყვიან ფრაზებთან მიმართებაში არის 65%-ზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული, კოეფიციენტი 2, 25 სიტყვიანი და მეტი ფრაზების თანხვედრაზე 15%-ია მიღებული. რაც შეეხება ფრაზების ციტირების ნაწილს, აქ 30 %-ზეა გადაწყვტილება მიღებული, თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება არ იქნეს გამოყენებული აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მარიამ ჯიქიამ 2.6 სტანდართან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ეს პუნქტი არცერთ რეგულაციასთან წინააღდეგობაში არ მოდის. მან ასევე განმარტა, რომ კომისიის თითოეული წევრი 7 კრიტერიუმით აფასებს მაგისტრს, რომელიც იცავს თემას და ამ კრიტერიუმების მიხედვით ხდება გარკვეული კოეფიციენტების მინიჭება. საბოლოო ჯამში ეს ოქმები ჯამდება და საშუალო ქულა მიიღება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით თუ რომელ პრაქტიკაზე დაყრდნობით განისაზღვრა 30%-იანი მაჩვენებელი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ განმარტა, რომ თანხვედრის 30% აღნიშნავს ნაშრომის წილს, რომელიც მოიცავს სხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებული ფრაზებისა და ციტატების თანხვედრას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის გამოყენებულ ლიტერატურაში ცალკე გამოყოფილია თავი, სადაც მითითებულია სამეცნიერო ნაშრომები, შესავალის ტიპის წიგნები და ამ ტიპის რესურსები. ეკატერინე ნაცვლიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს თუ რამდენად დაშვებულია ამ ტიპის რესურსები დარგის სპეციფიკით და წარმოადგენს თუ არა ეს გარკვეულ ხარვეზს.

ექსპერტმა, ქეთევან ცხადაძემ დაამატა, რომ შესაძლებელია სამართალს ან სხვა მიმართულებას ჰქონდეს შესავალი ნაწილი, რომელიც მნიშვნელოვან ტერმინებს, დებულებებს და ძირითად თეორიებს განმარტავს.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა თუ რამდენად მიღებული იყო აღნიშნული პრაქტიკა.

რაზეც ექსპერტმა, ქეთევან ცხადაძემ განმარტა, რომ ეს სავსებით მიღებული პრაქტიკა იყო დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ვახტანგ ზაალიშვილმა განმარტა, რომ ყველა კანონს აქვს შესვალი, ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილი, რომლებიც არ წარმოადგენენ კლასიკური ტიპის სახელმძღვანელოებს. მისი თქმით, ასეთი ლიტერატურა ხშირ შემთხვევაში აუცილებელიცაა, რადგან მოიცავს ინფორმაციას თუ ეროვნულ დონეზე რა წესი მოქმედებს კანონის ფარგლებში. რაც შეეხება დამთხვევათა პროცენტულობას სოციალურ მეცნიერებებში, კერძოდ, სამართალში, აღწერილობითი ნაწილი ხშირად საჭიროებს სხვისი აზრების ციტირებას იმისათვის რომ აღიწეროს საკვლევი საკითხი. სავარაუდოდ ამით არის განპირობებული 30% დამთხვევის ზღვარი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დამთხვევის პროცენტები შემდგომ საჭიროებს გაანალიზებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს თუ რომელ პრაქტიკაზე დაყრდნობით ხდებოდა პროცენტების წილის განსაზღვრა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ჯინჭარაძემ აღნიშნა,რომ პროგრამა ყველა კოეფიციენტზე უშვებს მაქსიმალურ პროცენტულ ზღვარს, რისი გადალახვაც უნივერსიტეტს არ შეუძლია, ვინაიდან თავად პროგრამა არ იძლევა მეტი კოეფიციენტის დაწესების საშუალებას.

საბჭოს თავმჯდომარე ჩაეკითხა ექსპერტს იმასთან დაკავშირებით, იძლეოდა თუ არა პროგრამა ნაკლები კოეფიციენტის დაწესების საშუალებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ჯინჭარაძემ განმარტა, რომ პროგრამას მინიმალური ზღვარი არ აქვს. ამ კუთხით სხვადასხვა ქვეყნების სხვადასხვა უნივერსიტეტები განსხვავებულ პრაქტიკას მიმართავენ.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლურმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს თუ რამდენია დაწესებული ზედა ზღვარი უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ განმარტა, რომ დისერტაცია/მონოგრაფია/სამეცნიერო სტატიასთან მიმართებაში 50 %-იანი ზღვარია 5 სიტყვიან ფრაზებზე (S1 კოეფიციენტი). 25 და მეტ ფრაზიან დამთხვევაზე ზღვარი 5 %-ს არ უნდა აღემატებოდეს (S2) და ციტირების ნაწილის ზღვარია 20% (QC3). მაგისტრატურის შემთხვევაში ეს კოეფიციენტები აწეულია შესაბამისად 65%, 15% და 30%-ია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით არსებობდა თუ არა უნივერსიტეტში პრაქტიკა "Turnitin" პლაგიატის პროგრამის გამოყენებასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ მისი უნივერსიტეტში მოღვაწეობის ფარგლებში აღნიშნული პროგრამის გამოყენების პრაქტიკა არ არსებობდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:10
დასრულების დრო: 18:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

18:27 საათზე საბჭო დატოვა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 10 დეკემბრის N1189752 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მერვე
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დოქტორანტურა
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ ., N 77, თბილისი, სასწავლო კორპუსი N6, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

ეკატერინე შაკიაშვილმა მეექვსე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება, საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ფიქრია ასანიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა ორი ექსპერტი: ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქალბატონი ივანნა მაჩიტიძე და ექსპერტთა ჯგუფის წევრი,ფიქრია ასანიშვილი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ 1.1, 2.1, 2.4, 2.5, 2.6, 4.1, 4.2, 5.1, და 5.3 ქვესტანდარტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 ,2.2, და 2.3 ქვესტანდარტები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ექსპერტთა ჯგუფისწევრმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. 1.2. სწავლის შედეგები: რეკომენდებულია ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის შინაარსობრივ მხარს შორის ლოგიკური კავშირის გაძლიერება; აუცილებელია, შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სისტემატიურ შეფასებას, ასევე განისაზღვროს პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი თუ რა დონით არის მიმართული კონკრეტულ სასწავლო კურსთან.
2. 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი: რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ნაწილს დაემატოს „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების“ სასწავლო კურსი, რათა სტუდენტებმა სამაგისტრო საფეხურის მომიჯნავე სპეციალობებით დასრულების შემთხვევაში, შეიძინონ შესაბამისი ცოდნა და უნარები იმ აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებისა და კრიტიკული შეფასებისთვის, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ სიღრმისეულ შესწავლას და მეცნიერულ ანალიზს.
3. 2.3. სასწავლო კურსი: რეკომენდებულია, კვლევის მეთოდების საერთაშორისო ურთიერთობებში სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფორმულირება შესაბამისობაში მოვიდეს დოქტორანტურის საფეხურის საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან, მეტი აქცენტი საჭიროა კვლევის მეთოდების გამოყენებაზე ახალი და ინოვაციური ცოდნის შექმნაზე.
4. 5.2. გარე ხარისხის შეფასება: ორეკომენდებულია, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის გარეშე ფასების დოკუმენტის შინაარსი ატარებდეს მხარდაჭერის წერილის ხასიათს. პროგრამის შეფასების მიზნით უმჯობესი იქნებოდა გარე შემფასებლის მხირდან წარმოდგენილიყო პროგრამის მიზნების, შედეგების, სასწავლო გეგმის, სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების შესაბამისობის სიღრმისეული და დეტალური შეფასება, ასევე რეკომენდაციები სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის ხარისხთან, დაცვის პროცედურებთან, დოქტორანტებისთვის შექმნილ შესაძლებლობებთან მიმართებით მათი კვლევითი უნარების განვითარების მიზნით.

სასაბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ სადოქტორო ნაშრომების გადახედვისას კონკრეტულმა საკითხებმა ბუნდოვანება წარმოქმნა. მან აღნიშნა, რომ სადოქტორო ნაშრომის სათაურებიდან გამომდინარე სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების კვალიფიკაციის შესაბამისობა კონკრეტულ თემებთან მიმართებით კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. თუ რამდენად იყვნენ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელები კონკრეტული სფეროს სპეციალისტები, რა თემებზეც იყო დაცული დისერტაციები.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებით და კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს,გაეცნენ თუ აეა დაცულ ნაშრომებს და რა მექანიზმებია უნივერსიტეტის მხრიდან, რომ სადოქტორო ნაშრომი დაცვამდე იყოს მაღალი ხარისხის. შესაძლებელი არის თუ არა, რომ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტმა დაწეროს ისეთი ნაშრომი, რომელიც დაიბეჭდება სამეცნიერო ბაზებში, კონკრეტულად web of science და SCOPUS ის ბაზებში. ანზორ ბერიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, როგორი იყო მათი მოსაზრება დარგის სპეფიციკიდან გამომდინარე, დოქტორანტს უნდა მოეთხოვებოდეს მინიმუმ ერთი ნაშრომის გამოქვეყნება ამ დონის სამეცნიერო ჟურნალებში.

ექსპერტმა, ფიქრია ასანიშვილმა განმარტა, რომ ექსპერტები გაეცნენ წინა აკრედიტაციის დროს გაცემულ რეკომენდაციებს, რის მიხედვითაც გაუმჯობესებული იყო დაწესებულების პოლიტიკა და ჩართული იყო პოლიტიკის მეცნიერების და საერთაშორისო მიმართულების პროფესურის ხვედრითი წილი. ამ მხრივ, გაუმჯობესება ნამდვილად იყო სახეზე, თუმცა სადოქტორო თემებთან დაკავშირებით ექსპერტებმა გადაწყვიტეს, რომ გაეცათ რეკომენდაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით,. ექსპერტი მიესალმება სადოქტორო ნაშრომის სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებას.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზეპირი მოსმენისას ვერ მოისმინა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია დოქტორანტების მიერ ნაშრომების სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა მარიამ ჯიქიამ განმარტა, რომ დღეს-დღეობით უნივერსიტეტში არსებობს ჩანაწერი იმის შესახებ რომ დაცვაზე გასვლის მსურველი დოქტორანტის ნაშრომი ინდექსირებულ ჟურნალებში იყოს ერთხელ მაინც გამოქვეყნებული. მან ასევე აღნიშნა, რომ ნაშრომის ხელმძღვანელების საკითხთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის განახლება ნამდვილად მოხდა, რასაც ექსპერტებიც ადასტურებენ. რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კურსის დამატებას, მან აღნიშნა, რომ თავდაპირველად პროგრამაში ეს კურსი არსებობდა. თუმცა შემდგომ გადაწყვიტეს, რომ დოქტორანტურაში უპირატესია არა კონკრეტული ცოდნა, არამედ კვლევის უნარების გაუმჯობესება. რის შედეგადაც, მისაღები გამოცდების დროს, კანდიდატი წარმოადგენს კვლევის პროექტს და ასევე გადის გასაუბრებას, რის დროსაც დგინდება მისი დარგისეული ცოდნა. უნივერსიტეტს მოთხოვნად აქვს, რომ დოქტორანტს ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილება გააჩნდეს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჯიჯეიშვილმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ისწავლება დღეს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები ხვალინდელი პროგნოზებით. მისი განმარტებით, სათაურში ისტორიის ჩარჩოს გამოტანა არ არის მიზანშეწონილი, როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო ურთიერთობების გრიფით დაცულ დისერტაციებს. სტატიებთან დაკავშირებით მანაც დააზუსტა, რომ აუცილებელია ერთი სტატია

მაინც იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო ჟურნალებში. მისი განმარტებით, ყველა რეკომენდაცია მიღებულია, გარდა თეორიასთან დაკავშირებული რეკომენდაციისა. ვინაიდან ქართულ ენაზე ვერ იქნა მათ მიერ აღმოჩენილი შესაბამისი ლიტერატურა, მთელ რიგ საგნებში ჩადებულია ინგლისური ნაშრომები ძირითადი ლიტერატურის სახით, რის გამოც, წინაპირობაში შემოტანილია ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით, თუ რამდენად მისცემთ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა საერთაშორისო ღონისძიებებში თავიანთი მოსზრებების თავისუფლად წარმოჩენის საშუალებას.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჯიჯეიშვილმა განმარტა, რომ მოდიფიცირებულ პროგრამებში B2დონეს ითხოვენ ყველა სტუდენტისთვის და მისი განმარტებითდონე საკმარისია რათა დოქტორანტმა მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ღონისძიებებში.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, მარიამ ჯიქიამ დაამატა, რომ B2დონე სავსებით მიღებული სტანდარტია ბევრი უცხოური პრაქტიკით. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ სამეცნიერო ნაშრომები გადიან რედაქტირებას ფილოლოგიის დეპარტამენტის მხრიდან. ამიტომ იმის საშიშროება, რომ არაკომპეტენტურად შესრულდეს ნაშრომი არ არსებობს.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ მიმართა კითხვით იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენ დოქტორანტს აქვს გამოქვეყნებული ნაშრომები სამეცნიერო ჟურნალებში.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, მარიამ ჯიქიამ განმარტა, რომ აღნიშნულისტატისტიკური მონაცემები ხელთ არ აქვთ.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა მიმართა კითხვით თუ რა პროცედურა იყო დაწესებულების მხრიდან გაწერილი იმ შემთხვევაში, თუ ორი შემფასებლიდან ერთ-ერთი უარყოფით შეფასებას მისცემდა ნაშრომს.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ დააკონკრეტა თავისი კითხვა, რომ კონკრეტულად web of science და SCOPUS ის ბაზებზე საუბრობდა და ასევე აინტერესებდა, დარგის სპეციფიკა იძლეოდა თუ არა ამის საშუალებას. მან ასევე მიმართა კითხვით აქვს თუ არადოქტორანტს ვალდებულება თავისი ნაშრომების უცხოურ სამეცნიერო ბაზებში გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჯიჯეიშვილმა მოახსენა, რომ აუცილებელია დოქტორანტის მიერ სტატია იყოს გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ დააზუსტა თავისი კითხვა, რომ ის გულისხმობდა კონკრეტულ ორ ბაზას web of science და SCOPUS ის ბაზებში ქვეყნდებოდა თუ არადა დოქტორანტების ნაშრომები. მან დამატებით აღნიშნა, რომ არსებობს დებულებაში ზოგადი ჩანაწერი რომ სავალდებულოა სტატიის გამოქვეყნება თუმცა დაკონკრეტებული არის თუ არა პროგრამის ფარგლებში აღნიშნული საკითხი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ განმარტა, რომ არ არის დაკონკრეტებული პროგრამის ფარგლებში, თუმცა მან აღნიშნა, რომ აუცილებლად იქნება დაკონკრეტებული. დავით მახვილაძემ განმარტება გააკეთა რა პროცედურებია გაწერილი უნივერსიტეტის მხრიდან იმ შემთხვევაში თუ ორი შემფასებლიდან ერთ-ერთი უარყოფით შეფასებას მისცემდა ნაშრომს და აღნიშნა, რომ ერთი უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი გადიოდა ნაშრომის დასაცავად კომისიის წინაშე და დამატებით განმარტა, რომ თუ ორი შემფასებლიდან ორივე უარყოფით შეფასებას მისცემდა

ნაშრომს დოქტორანტს უფლება აქვს მოითხოვოს სადოქტორო ნაშრომის დაცვაზე გასვლა. მან დამატებით აღნიშნა, რომ აღნიშნული პროცედურა გაწერილი იყო დოქტორანტურის დებულებაში.

რაზეც საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა მიმართა დამაზუსტებელი კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ თუ ორი შემფასებლიდან ორივე რეცეზენტი უარყოფით შეფასებას მისცემდა ნაშრომს ჩნდება ლოგიკური კითხვა რა არის მიზანი ნაშრომის რეცეზენტისთვის გაზიარებას თუ რეცეზენტის დასკვნა უგულებელყოფილი შეიძლება იქნას.

დავით მახვილაძემ განმარტა, რომ აღნიშნული პროცედურით რეცეზენტის ფუნქცია და მოვალეობა არ კნინდება, ამ პროცედურით დაწესებულება დოქტორანტს უფლებას აძლევს გამოიყენოს თავისი უფლება და მოითხოვოს დაცვის ჩატარება, ისევე როგორც დოქტორანტს უფლება აქვს ნებისმიერ ეტაპზე საკუთარი ინიციატივით მოხსნას განხილვიდან თავისი ნაშრომი დაცვამდე ნებისმიერ ეტაპზე. დოქტორანტი ამ ქმედებით რისკს დებს საბოლოო შეფასებასთან მიმართებით, რადგან რეცეზენტის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში ალბათობა იმისა, რომ საბოლოო შეფასება დადებითი იქნება ძალიან დაბალი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჯიჯეიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები არ არის ზუსტი მეცნიერება, ყველა ადამიანს თავისი შეხედულება აქვს. შესაძლებელია დოქტორანტს რომელიც მუშაობს ნაშრომზე შეხვდეს სრულიად განსხვავებული იდეოლოგიის მატარებელი რეცეზენტი და შესაბამისად მიიღოს განსხვავებული შეფასება. ნაშრომის დაცვაზე სრულიად დოქტორანტზეა დამოკიდებული რამდენად არგუმენტირებულად დაამტკიცებს თავის მოსაზრებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:00
დასრულების დრო: 19:30

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. საბჭომ ამოიღო 2.2. ქვესტანდარტთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაცია და ცალკეულ კომპონენტებში დაამატა სამი რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის გადავადების საკითხი, 60 დღის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქციით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Web of Science ან Scopus) ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება;

2. რეკომენდებულია ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის შინაარსობრივ მხარს შორის ლოგიკური კავშირის გაძლიერება; აუცილებელია, შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სისტემატიურ შეფასებას, ასევე განისაზღვროს პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი თუ რა დონით არის მიმართული კონკრეტულ სასწავლო კურსთან;
3. რეკომენდებულია, კვლევის მეთოდების საერთაშორისო ურთიერთობებში სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფორმულირება შესაბამისობაში მოვიდეს დოქტორანტურის საფეხურის საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან, მეტი აქცენტი საჭიროა კვლევის მეთოდების გამოყენებაზე ახალი და ინოვაციური ცოდნის შექმნაზე;
4. რეკომენდებულია, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის გარეშე ფასების დოკუმენტის შინაარსი ატარებდეს მხარდაჭერის წერილის ხასიათს. პროგრამის შეფასების მიზნით უმჯობესი იქნებოდა გარე შემფასებლის მხირდან წარმოდგენილიყო პროგრამის მიზნების, შედეგების, სასწავლო გეგმის, სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების შესაბამისობის სიღრმისეული და დეტალური შეფასება, ასევე რეკომენდაციები სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის ხარისხთან, დაცვის პროცედურებთან, დოქტორანტებისთვის შექმნილ შესაძლებლობებთან მიმართებით მათი კვლევითი უნარების განვითარების მიზნით;
5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევის გამოცდილება;
6. რეკომენდირებულია, სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის/რეცენზენტების უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, გადაიხედოს სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების პროცედურა ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

რჩევები:

1. სასურველია, დაზუსტდეს კურსდამთავრებულთა გამოკითხვების მეთოდოლოგია, კურსდამთავრებულთა დასაქმების და კვლევითი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული ზომები ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა ეფექტიან ჩართულობას პროგრამის განვითაებაში, ასევე მიზნების და შედეგების ფორმულირების დაზუსტებას;
2. სასურველია, შეიქმნას სადოქტორო კვლევის პროექტის შაბლონი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, მისი სტრუქტურა და ფორმატი;
3. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრმაზე ერთ-ერთი დაშვების წინაპირობ ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე, სასურველია, დაზუსტეს ფორმულირება საზღვარგარეთ მიღებულ უცხოენოვან განათლებასთან დაკავშირებით და აქცენტი გაკეთდეს ინგლისურენოვან პროგრამებზე;
4. სასურველია, დაზუსტდეს „კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში“ სასწავლო კურსის დასახელება და დაერქვას „კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნერებებში ან სოციალურ მეცნიერებებში“. იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო ურთიერთობები პოლიტიკის მეცნიერებების ქვედარგია, მას არ გააჩნია უნიკალური კვლევის მეთოდები, რომელიც არ გამოიყენება პოლიტიკის მეცნიერებების სხვა ქვემიმართულებების მიერ;
5. სასურველია, თანამედროვე სამეცნიერო კომუნიკაციების სოციალურ მეცნიერებებში და თანამედროვე სწავლების მეთოდების სასწავლო კურსების ფარგლებში შეფასების კომპონენტები მეტად მრავალფეროვანი გახდეს, რაც ხელს შეუწყობს დოქტორანტის მიერ ათვისებული ცოდნის ეფექტიან განსაზღვრას;
6. სასურველია, დაზუსტდეს სწავლის შედეგების ფორმულირება თანამედროვე სწავლების მეთოდების სასწავლო კურსის ფარგლებში;

7. სასურველია კვლევითი პროექტის არჩევითი სასწავლო კურსის ფარგლებში შუალედური და ფინალური შეფასების რუბრიკების დაზუსტება და შემცირება რამდენიმე მსგავსი შინაარსის რუბრიკის გაერთიანების გზით;
8. სასურველია, სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, უცხოურ უნივერისტეტებთან პარტნიორობით, ერთობლივი კლევითი თუ სასწავლო პროექტების განხორციელების ფარგლებში მოიპოვოს საერთაშორისო გრანტებსა და დაფინანსებებს და ამ პროცესში აქტიურად ჩართავს დოქტორანტურის სტუდენტებსაც. ეს პროცესი ხელს შეუწყობს სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული უნარებისა და გამცდილების განვითარებასა და თავად საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობას.

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა“ 31 - ე მუხლის 22 - ე პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრა 60 კალენდარული დღე.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 11 მარტს, 19:35 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით